ოქმი N7

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი

2022 წლის 28 დეკემბერი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.ბექა ხარბედია

4.აკაკი ხურცილავა

5.დათო ხასია

6.ბადრი რიჟამაძე

7.ჯანსუღ ჯიშკარიანი

8.გურიელ ქარდავა

9.მალხაზ იოსავა

(სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე)

დ ღ ი ს წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 22 დეკემბრის N 50-50223564 წერილის განხილვა:

= „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე:

=ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე:

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე):

2.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 27 დეკემბრის N 50 – 502236166 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2023 – 2027 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე):

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე):

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა:

ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 22 დეკემბრის N 50 – 50223564 წერილის განხილვა:

= „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე:

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე):

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ"

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით „დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და მათი ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს N 28 დადგენილებით დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და იურიდიული პირების დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა განსაზღვრული იყო ნარჩენის დაგროვებით მეტრ კუბში, სამუშაო პროცესში რეალური დაგროვების დადგენა ვერ ხერხდებოდა და სირთულეს ქმნიდა ნარჩენის ოდენობის განსაზღვრისას. აღნიშნულის გამო წარმოდგენილი დადგენილების პროექტით დასუფთავების მოსაკრებელი იურიდიული პირებისა და საწარმოო-დაწესებულებებისთვის განისაზღვრება საერთო ფართის მიხედვით წლიური დაგროვების ნორმის შესაბამისად.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ

მუხლი 1 ადგილობრივი მოსაკრებლები:

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს შემდეგი სახის ადგილობრივი მოსაკრებლები:

ა)მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისთვის.

ბ)მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის:

გ)სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.

მუხლი 2. მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის.

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისთვის მოსაკრებლის ოდენობა ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისთვის განისაზღვრება 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

მუხლი 3. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება:

ა) ერთ სულ მოსახლეზე - თვეში 50 (ორმოცდაათი) თეთრის ოდენობით, კომლზე არაუმეტეს 3 (სამი) ლარისა.

ბ) იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისთვის (დანართი 1) შესაბამისად.

მუხლი 4. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება:

ა)თითოეული სამორინეს მაგიდაზე - კვარტალში 20000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ)თითოეულ სათამაშო აპარატზე - კვარტალში 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით;

გ)თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10%

დ) სისტემურ - ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე - კვარტალში 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით :

ე)ლატარიების მოწყობაზე - ლატარიის ბილეთის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20% - ის ოდენობით:

ვ)აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ - ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშის თითოეულ სალაროზე კვარტალში 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით:

ზ)თითოეულ კლუბის მაგიდაზე - კვარტალში 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1.ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს N 28 დადგენილება 2023 წლის 1 იანვრიდან.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

= „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე:

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პიტების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზირებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის და მის შედეგად მიღებული ქონების წესი“.

მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა- ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N 364 ბრძანების თანახმად, შეიცვალა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების

ინვენტარიზაციის ჩატარების, ინვენტარიზაციის შედეგების, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, აღრიცხვა ანგარიშგებაში ასახვის წესი, რომლის შესაბამისადაც მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზირებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი".

სხდომაზე აღინიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, სხდომაზე განსახილველად.

2.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 27 დეკემბრის N50 – 502236166 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2023 – 2027 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2023 – 2027 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ".

მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიერ „საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის" მე - 13 მუხლის შესაბამისად, შემუშავდა ხობის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის 2023 – 2027 წლების სამოქმედო გეგმა.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს, ბიუროზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე: /ვ. ქანთარია/